# ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 13 იანვარი № 1353

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო... კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**



## „მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“

ერთად ღირს წელიწადში: ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის 11 მან., ქალაქ ტფილისის მცხოვრებთათვის 10 მანეთი. ფასის განაწილება: ხელის მოწერის დროს 6 მან.—ქალაქ გარეთ ხელის მომწერთათვის, ტფილისელ ხელის მომწერთათვის 5 მანეთი. შემდეგ აპრილის 1-ლს 3 მან. და ენკენისთვის 1-ლს ... მანეთი.

**„ცნობის ფურცელი“** ცალკე—წელიწადში 6 მან., ნახევარ წელიწადში 4 მან. და თვეში 75 კაპ.

## ი ყ ი დ ე ბ ა

...ელი წიფლის და რცხილის მსხვილი შეშა

## თავ. ი. პ. ნაკაშიძისა

...ლითის მამულიდან,—საქნობით და ვაგონებით: ტფილისში, - გ. ი. სერებრიაკოვის ...-ტყის საწყობში, საბაღოსნო სკოლის პირდაპირ. ვისაც ჰსურს, შეშას სახლში მიუტანენ და დაუწყებენ. სახლში მიტანით და დაწყობით კუბ. საჟ. ღირება, მანძილის მიხედვით, 35 მანათიდან 40—მდე. (ნ. 6—3)

## ტფილისის კერძო
## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**ექიმის მიხეილ გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჯიჯინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და ...მლობა ელექტრონით — 9—10 ს.

ნ. ა მუღინი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10 - 2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12—1 საათამდე.

გ. დ. მარკევიჩი — სადოსტაქრო $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი — $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

მ. ბ. ბუზირგანოვი — შინაგანი და ბავშვებისა 1—2 სათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5—6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წდ.) მიხეილ გედევანიშვილი


# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 იანვარი

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებით გემით „შტანდარტით“ წაბრძანდნენ სევასტოპოლში 10 იანვარს, დილის 9 საათზე, და იქედან, საღამოს 7 საათზე და 30 წ. რკინის გზით გაემგზავრნენ პეტერბურგს.

გამოცხადდა უმაღლესი რესკრიპტი სახელმწიფო საბჭოს წევრის სენატორის ტერნერის სახელზე, რომელსაც ამასთანავე ებოძა წმ. ალექსანდრე ნეველის ორდერის ბრილიანტის ნიშნები.

**ბერლინი.** გამოეცხადა ბრძანება სამხედრო უწყებას, რომ ინგლისის დედოფლის ვიქტორიას გარდაცვალებისა გამო ოფიცრებმა 14 დღის განმავლობაში უნდა ატარონ სამგლოვიარო ნიშნები, ხოლო დრაგუნთა პირველი პოლკის ოფიცრებმა, რომლის შეფადაც დედოფალი ბრძანდებოდა, სამი კვირის განმავლობაში.

**პარიზი.** ჩაუშვეს ზღვაში რუსეთის ახალი ნაღმიანი გემი „ოსეტრი“.

**ოსბორნი.** დედოფლის გვამი ჯერ კიდევ ასვენია საწოლზე იმ ოთახში, რომელშიაც გარდაიცვალა. კიბეზე ორივე მხრით სდგანან ჯარის კაცები; ორი ოფიცერი დარაჯად სდგა ოთახის კარებთან. სასახლის მსახურნი და ფერმერები ნელ-ნელა შედიან ოთახში თაყვანის საცემად; დედოფლის სახე მშვიდია და წყნარი, როგორც მარმარილოსაგან გამოქანდაკებული სახე; გულზე უსვენია ოქროს ძვირფასი ჯვარი; თავი მარჯვნით აქვს დახრილი, საწოლის ირგვლივ ყვავილებია. ორი მსახური ინდოელები და ერთი სასახლის მანდილოსანი ცხედართან არიან მორიგეებად

**ლონდონი.** როდესაც მეფე მიბრძანდა საიდუმლო რჩევის სხდომაზე, არ შებრძანდა დარბაზში, სადაც შეგროვილიყვნენ რჩევის წევრები. დევანშირის ჰერცოგმა, როგორც პრეზიდენტმა საიდუმლო რჩევისამ, გამოუცხადა დამსწრეთ დედოფლის გარდაცვალება და უელსის პრინცის ტახტზე აბრძანება. შემდეგ, ჰერცოგთა და სხვა წარჩინებულთა დეპუტაცია მივიდა მეფესთან, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ შებრძანდა დარბაზში და მიჰმართა დამსწრეთ მოკლე სიტყვით. როდესაც ლორდ-კანცლერმა დაიფიცა მეფე, საიდუმლო საბჭოს წევრებმა შეჰფიცეს მეფეს ერთგულება და ემბორნენ ხელზე. ამით გათავდა ცერემონია. ხვალ-დილის ათ საათზე, სენტ-ჯემის სასახლისწინ დიდის ამბით აღიარებენ ედუარდ VII დიდ ბრიტანიის და ირლანდიის მეფედ და ინდოეთის იმპერატორად. მალბოროსჰაუზში დაბრუნებისას ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მეფეს.

**ხარკოვი.** გამოცხადდა განაჩენი ბოშების ავაზაკურ ბრბოს საქმის შესახებ. რვა ავაზაკს მიუსაჯეს ჩამოხრჩობა; ავაზაკთა დამფარველ კორიაკეს — ცოლსა და ქმარს — 15 წლ. კატორღა. კალმიკოვის შესახებ მოხდა განსაკუთრებული დადგენილება. სასამართლოს ბჭობა 12 საათს გაგრძელდა. საქმე 12 დღის განმავლობაში ირჩეოდა. ბრალდებულებმა დამშვიდებით მოისმინეს განაჩენი. სასამართლომ დაადგინა განაჩენი წარუდგინოს დასამტკიცებლად კიევის სამხედრო ოლქის უფროსს. ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ სასამართლოს განაჩენს განასაჩივრებენ სენატში. კასაციისათვის 48 საათის ვადა მისცეს.

**ლონდონი.** პარლამენტი შეიკრიბა შუადღის შემდეგ. ყველა წევრები სამგლოვიარო

# ფელეტონი

## ცხოვრება და ხელოვნება

შ. არაგვისპირელი. პირველი წიგნი. ტფ. 1900 წ.

ერთ ერთ თავის მოთხრობაში ბ. არაგვისპირელი ნატრობს: „ოღონდ თბილი, გამაცოცხლებელი ცრემლი მოჰხვდეს ჩემს მკერდს და მკვდარიც კი გავცოცხლდები“-ო. თუ ეს ...ლესაც არ აუხდა ბ. აგვისპირელს, ყოველს შემთხვევაში ჩვენს ღარიბს ლიტერატურაში ...ხელი მოიხვეჭა. მე არა მგონია, რომ ბ. არაგვისპირელის ურწმუნო და უნდო გონება ამ ქვეყნად მოპოებულს „სახელს“ ...დს ფასსა სდებდეს. ყოველს შემთხვევაში მაინც არ შეიძლება ახალგაზდა ავტორი ...ლიერი არ დარჩეს საზოგადოებისა და ლიტერატურისა იმ ყურადღებისათვის, რომელიც მან სავსებით დაიმსახურა.

აიღეთ, თუ გნებავთ ეს მისი თხზულებათა პირველი წიგნის გამოცემა. არცერთს ჩვენს ...ლებულ მწერალს არ ჰღირსებია ეგრე მალე მათ ნაწარმოებთა კრებულის დასტამბვა. თ. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოების გამოცემა მხოლოდ ამ ...ვა-ცხრა წლის წინად დაიწყეს, ე. ი. მაშინ, როცა მათის ლიტერატურულის მოღვაწეობის შემდეგ თითქმის ორმოცმა წელმა გაიარა.

...ყაზბეგს სიცოცხლეში არც კი ჰღირსებია თავისის თხზულების კრებულის ხილვა.

ეგრეთი სრულიად ღირსეული დაფასება ახალგაზდა მწერლისა, ამტკიცებს ჩვენის საზოგადოების გონების ზრდასაც.

პირველი წიგნი ბ. არაგვისპირელის თხზულებისა, თუმც არ არის თაიგული საუკეთესო მის ნაწერებისა, მაგრამ ნაწერების ქრონოლოგიასაც აკმაყოფილებს და ბ-ნი არაგვისპირელის ნიჭის განვითარების პირველ ხანის დამახასიათებელიც არის.

ბ-ნი არაგვისპირელი ამ მოთხრობებში ჯერ კიდევ თავის მოწინავე მწერლების გავლენის ქვეშაა. ბ. არაგვისპირელი მისდევს ბ. ს. მგალობლიშვილისა და ეკ. გაბაშვილისაგან გაკვალულს გზას. აღგვიწერს გულის მომწყვლელ სურათებს გლეხის ცხოვრებიდან; სიღარიბეს, გაჭირვებას, სიმშილსა და წყურვილს („ახალ წლის ღამეს“, „სოფლად“) და თანაც, ხანდისხან, მეტად უშნო ეფექტებსა ხმარობს, რომ მწარე სურათი კიდევ უფრო ჩააშავოს და ჩააბნელოს. მაგალითად, თუ კვდება გლეხი გიგოლა („ახალ წლის ღამეს“ და „სოფლად“) უთუოდ „ახალ წლის ღამეს“, რომ ვითომ უფრო დიდი სიბრალული აღძრას ჩვენში. მაგრამ ამავე პირველს წიგნში ნახავთ თქვენ იმის მაგალითებს, რომ ბ-ნ არაგვისპირელი სრულიად ახალ გზას იკვალავს თავისს ნაწერებისათვის. მისი „ესაა ჩვენი ცხოვრება“ აღწერილ საგანს უფრო სხვა მხრივ ეხება და უფრო ღრმად იხედება მოვლენაში. აქაც მართალია გლეხი კაცის ბეჩავი და უბედური ცხოვრებაა აღწერილი, მაგრამ ამ მოთხრობას საგნად არა აქვს დაგვანახვოს, რომ გლეხი კაცის ცხოვრება მოშხამულია და მოწამლული, რომ იგი გათელილია ყველასაგან და მიწასთან გასწორებული, რომ მისი სიცოცხლე და ბედნიერება ჩირადაც არ მიაჩნიათ ბრწყინვალე ეტლით მოგზაურებს და მათ მცველ შეიარაღებულ ჩაფრებს. ეს უკვე ვიცით და ვიცოდით, თუმცა არაგვისპირელს თავისებურადა და ნიჭიერადაც აქვს დახატულიეს სურათი. მაგრამ ახალი ის შეიტანა ამ სურათში, რომ „გულდაღმა გაშხლართულ, საფეთქლო გახეთქილ სიმონს“ უბედურების მოწმედ მოვარე გახადა, რომელიც „გულგრილად, შეუბრალებლივ დასცქერის ზემოდან და თითქოს ეუბნება სიმონას ამხანაგებს: „აი, თქვე საცოდავებო, თქვენა! — რას ჩაგიკიდნიათ თავები და ჩამოგტირით ცხვირპირი? მაგ ერთი მღილისათვის თქვენ მაგრე იქრუშებით და იწუხებთ თავებს... მაშ მე რაღა უნდა ვქნა, როდესაც ჩემ თვალწინ უსამართლოდ დახოცილის ხალხის სისხლის მორევები დგება. როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ იღუპება და ანთხევს სისხლს?! ეეჰ, თქვე უბედურებო, თქვენა!“

აქ კაცის ცხოვრების მოვლენა მთელ ბუნების მოვლენათა მიმდინარეობაშია ნაჩვენები, როგორც ნაწილი ამ ბუნებისა, რომელიც თუმცა სხვა ნაწილებზე უფრო უმნიშვნელო არაა, არც მათზე დიდმნიშვნელოვანია.

აქ არის ნაჩვენები ის, თუ რა განხეთქილება ბუნების სხვა-და-სხვა ელემენტებსა და თვით კაცთა შორისაც. მთვარე გულ-გრილად, შეუბრალებლივ“ დასცქერის საწყალ სიმონს, იმ სიმონს, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმა მისმა ძმა — ადამიანმა.

ამგვარი დასურათება მოვლენისა, ცხოვრების ამგვარი სიმწარის დანახვა, ჩვენს ლიტერატურაში ახალი რამ იყო, რასაკ უნდა მიექცია მკითხველ საზოგადოების ყურადღება, მით უმეტეს, რომ იგი ახალს ნიჭიერის მწერლის მადლიანის კალმით იყო გამოხატული.

აიღეთ მეორე მოთხრობა ბ-ნის შ. არაგვისპირელისა „ჩემო შვინდავ!“, და იქაც იმასვე ნახავთ. ბ-ნი არაგვისპირელი საგანს ჩვენის ლიტერატურისათვის არა-ჩვეულებრივის გზით მიუდგება და სურათის სრულიად სხვა სანახაობას დაგვანახვებს. თუ აქამდის გლეხთა ცხოვრების გარეგან მოვლენებს გვაჩვენებდა ჩვენი ლიტერატურა, მან გლეხ-კაცთა სულის დასურათებას მიჰყო ხელი, მისი მცირე დარდი და პატარა სევდა დაგვანახვა. დაგვიხატა მათის ცხოვრების უმნიშვნელო და საცოდავი მისწრაფება, მათის სულის კვეთების ბეჩაობა. აბა დაუკვირდით გლეხის ბიჭს სოსოს, რანაირად სწუხს და ჰგოდებს თავისი ხარის „შვინდას“ დაკარგვის გამო და რა ბედნიერებას და სიხარულს იგრძნობს, როცა ნახავს დაკარგულ „შვინდას“. ასეთი ტანჯვა რომ გამოსცადოს ღვინდელმა განათლებულმა კაცმა, მთელი საცხოვრებელის დაკარგვაც კი არა კმარა და ასეთი აღტაცება მისთვის ხომ წარმოუდგენელია. შესაძლოა

ტანისამოსში გამოცხადდნენ. სპიკერმა გამოუცხადა პარლამენტს დედოფლის გარდაცვალება და დაუმატა: ,,მოვალენი ვართ ერთგულება შევფიცოთ ახალს მეფეს ედუარდ VII. შემდეგ ამისა სპიკერმა და პარლამენტის წევრებმა დაიფიცეს. დაიფიცეს აგრეთვე იორკისა და კენტერბერიის არქიეპისკოპოსმა; ჰერცოგმა იორკისა და კონნაუტისამ, გრაფმა რობერტსმა და სხვა ლორდებმა. განხილულ იქმნა რამოდენიმე წინადადება იმის შესახებ, რომ მეფეს გამოეცხადოს პარლამენტისაგან სამძიმარი დედის გარდაცვალების გამო და ტახტზე აბრძანების მილოცვა.

**ლონდონი.** სენ-ჯემის სასახლეში მომხდარ საიდუმლო ბჭობაზე მეფე თავისი ამალით მობრძანდა სამხედრო ტანისამოსში. მეფეს სიტყვა არ წაუკითხავს, არამედ ზეპირად ილაპარაკა მეტად გრძნობიერად. ეს სიტყვა, ალბად, ოფიციალურად იქმნება გამოცხადებული. იმ დროს, როცა მეფემ სიტყვა დაიწყო, სენ-ჯემის სასახლის ბაღიდან ზარბაზნები დასცალეს ნიშნად ახალის მეფის ტახტზე აბრძანებისა. იორკის და კონნაუტის ჰერცოგები ლონდონში დარჩებიან ხვალამდე. მიცვალებულის გვამს ალბად ზეგ გაასვენებენ ვინძორში.

**პეტერბურგი.** დიდი ბრიტანიის დედოფლის გარდაცვალების გამო უმაღლეს სასახლეში სამი თვის გლოვიარობა დაწესდა. ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა: ზღვოსან კადეტთა კორპუსის ორასი წლის იუბილეს აღსანიშნავად, რომელიც 14 იანვარს იდღესასწაულება, დაწესებულ იქმნას გულზე სატარებელი საგანგებო ნიშანი.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტროს განკარგულებით, იმ დროს, როდესაც ახალ მეფის ტახტზე აბრძანებას გამოაცხადებენ, ჯარები ქუჩის ორივე მხრივ იქმნება გამწკრივებული. მხედრობისათვის დაწესდა მგლოვიარობა 20 თებერვლამდინ; დროშები დასაფლავებამდის შავებით იქმნებიან შემოსილი, ოფიციალურ გაზეთში დასტამბულია პროკლამაცია, რომლითაც იწვევენ ყველა სამსახურის პირთ განაგრძონ თავისი სამსახური. პირველი სამგლოვიარო წესები აღსრულებულ იქმნებიან ვინძორის წმ. გიორგის კაპელლაში უცხოელ უმაღლეს პირთა და სხვა მიპატიჟებულ პირთა თანადასწრებით. შემდეგ გვამს წაასვენებენ ფროგმორში, სადაც გადახდილ იქმნება პანაშვიდი. ამ პანაშვიდს მარტო მეფის სახლეულების წევრნი დაესწრებიან.

**ლონდონი.** მეფედ გამოცხადების ცერემონია დიდად საინტერესო და კარგი სანახავია. დილის 8 საათზე მორიგი ჯარები, რომელნიც გრენადერებიდან შესდგებოდნენ, სამეფო დროშებით დადგნენ სენ-ჯემსის სასახლის ეზოში. სასახლის აივანი მორთულია წითელის მაუდით. დიდძალი ხალხი შეგროვდა მახლობელ ქუჩასა და შესახვევებში. თითქმის ყველას სამგლოვიარო ტანისამოსი აცვია. 9 საათზე ოფიცრები გაიძახიან „ჸრიდეთ“, და იმავე დროს გრაფი რობერტი თავისის ამალით გაემართა ჯარებისაკენ. უეცრად ყველას ყურადღება მიიქცია აივანზე გამოსულმა ოთხმა შიკრიკმა, რომელთაც რვა კაცი ახლდათ. ყველას საშუალო საუკუნის სხვა-და-სხვა ფერის ტანისამოსი ეცვათ, მათ შემდეგ გამოვიდნენ ჰერცოგი ნორფოლკისა, მემკვიდრეობითი გრაფი მარშალი და სხვა წარჩინებული პირნი. გრაფმა ნორფოლკისამ ანიშნა და მხლებელთ დაუკრეს ვერცხლის ბუკი. შემდეგ გამოვიდა უმთავრესის შიკრიკის, ოთხმოცის წლის მოხუცის, მოადგილე და სრულის მდუმარებით მოცულის ხალხის წინაშე ხმა მაღლად წაიკითხა ძველებურის ენით დაწერილი ჩვეულებრივი პროკლამაცია მეფის ტახტზე აბრძანების შესახებ. კითხვის დროს ყველა ქუდ-მოხდილია. დაბოლოს შიკრიკმა მოიხადა სამკუთხიანი ქუდი და წარმოსთქვა: „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა“. ეს სიტყვები ხალხმა აღტაცებით მიიღო, მუსიკა საეროვნო ჰიმნს უკრავდა მაშინ, როდესაც შიკრიკები ბუკს უკრავდნენ. როდესაც ცერემონია დასრულდა, შიკრიკები და სხვები გაემართნენ სამეფო ეტლებით ქალაქში. პროკლამაცია წაკითხულ იქმნა Roual ecxchange-ის წინ, ლორდმერის და ალდერმენის თანადასწრებით. პროკლამაციის წაკითხვის შემდეგ ხალხი მღეროდა „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა“ ჲ გაიძახოდა „ვაშას“ ახალ მეფის პატივსაცემლად. მეფე და ჰერცოგები წავიდნენ ოსბორნში 11 ს. და 20 წუთზე.

**ვენა.** რუმინიის მინისტრ-პრეზიდენტის გერმანიაში და ავსტრიაში მგზავრობას საგნად აქვს შეატყობინოს ,,სამთა-კავშირის'' სახელმწიფოთ რუმინიისა და ბოლგარიის შორის უთანხმოების ამბავი, რომ შეტაკება არ მოხდეს ბალკანეთის კუნძულზე და რუმინიას აცლინოს პასუხის გება.

**პეკინი.** ჩინეთმა მიჰმართა სახელმწიფოებს თხოვნით დანამდვილებით იქმნას აღნიშნული, რომელ ადგილებში იქმნება შეჩერებული ეგზამენები; ნება დართონ სამხედრო იარაღის შემოტანისა ავაზაკების მოსასპობლად; აღნიშნონ საზღაურის გარდახდის ვადა, ნება დართონ სადამოჟნო გარდასახადის მომატებისა და აღნიშნონ ვადა ჯარების უკან წაყვანისა.

**ლონდონი.** დედოფალის გვამს გაასვენებენ ოსბორნიდან 19 იანვარს; დაკრძალვა მოხდება 20 იანვარს ვინძორში. დედოფლის სურვილის თანახმად, დაკრძალვას დაესწრება დიდ-ძალი ჯარი.

**უტრეხტი.** კრიუგერს თვალის ოპერაცია გაუკეთეს შუადღისას პროფ. სკელლეხმა და ექიმმა გეიმანმა.

12 იანვარი

**ოსბორნი.** გერმანიის იმპერატორი ინგლისიდან დედოფლის დასაფლავების შემდეგ დაბრუნდება გერმანიაში; იმპერატორის მემკვიდრე ჩამოვა 13 იანვარს.

**კოუსი.** მეფის ჩამოსვლამდე ქალაქს მოდებული ბურუსი გაიფანტა. 12 საათის შემდეგ გაისროლეს ზარბაზნები ახალის მეფის სახელოდ. ჩამოშვებული დროშები, როგორც კი გამოჩნდა გემი ,,ალბერტი“, ისევ ააფრიალეს, გემ ვიდა თუ არა ხმელეთზედ, 21-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი. ყველა დამსწრე პირები სამგლოვიარო ტანისამოსში იყვნენ. მეფე სალამზე პასუხს აძლევდა ხალხს. რამდენიმე წუთის შემდეგ ოსბორნში მივიდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

※ ლონდონიდან იწერებიან: «ბურების ყველა უფროსები ატუსაღებენ იმ კაცებს, რომელნიც ურჩევენ ბურებს იარაღის აყრას. უფროსები ამ კაცებს ისე ექცევიან, როგორც ჯაშუშებს».

კიტჩენერი იუწყება დეპეშით, ვითომ გრეიმ დაამარცხა ბურების რაზმი 800 კაცისაგან შემდგარი და ვითომ ამ გამარჯვების ნიშნად ერთი ბური ტყვედ აიყვანა და რამდენიმე მასრის აბგა დავლად აიღო. ლონდონელ საზოგადოებას ეს უცნაური დეპეშა სასაცილოდ არ ეყო; აღარავის სჯერა ინგლისელი ჯარების გამარჯვება».

«ფიგაროს» პოლიტიკის მიმომხილველი ამბობს ინგლისის მდგომარეობის შესახებ სამხრეთ-აფრიკაში, რომ ეს მდგომარეობა ამ ჟამად შესამჩნევად ცუდია, სანამ შარშან პირველ დამარცხების დროს. კოლენზოს, მაგერსფონტეინსა და სტორმბერგს შემდეგ ჩვენ წარმოგვიდგა თვალწინ მშვენიერი სურათი უცებ გაღვიძებული ბრიტანიელი ლომისა, რომელმაც მეტად იწყინა მასხარად აგდება თავხედი ბურებისგან. ეხ
ინგლისელები ისევ მარცხდებიან, მაგრამ ი
ვეღარ მოახერხებენ, რაც ერთ წელიწადში მო
ხერხეს, ბევრი-ბევრი მოკავშირე ჯარისკაცი
გაუგზავნონ კიტჩენერს და ისიც ვიგონ
ჯარის კაცები. აი ეხლაა მარჯვე დრო საიმისო
რომ აფრიკანდერებმა მიაღებინონ ინგლისს
პირობები, რომლებიც დაუდვეს აღფრედ მი
ნერს ვორჩესტერში მომხდარ კრებაზედ
ამნაირად თითონ ინგლისის მთავრობისა და
ფის თანხმობით დაამყარონ სამხრეთ-აფრიკა
ჰოლანდიური ტომის ბატონობა».

※ ინგლისურმა გაზეთმა «პალ მალ გაზეთ
დაწერა, რომ დევეტი უსათუოდ უნდა დაიხვრ
ტოს, როცა ჩვენი ჯარები ხელში ჩაიგდებენ
მეორე ინგლისისავე გაზეთ «დეილი ქრ
ნიკლის» რედაქტორად ნამყოფმა მასსინგ
შემდეგი პასუხი მისცა «პალ მალ გაზეთს»:

«მხედველობაში მივიღე თქვენი წინადად
რომ დევეტი თოფით დაიხვრიტოს, როცა
ვიჭერთ, რადგანაც იმან თოფით დახვრიტა ერ
ჩვენი ვაჟბატონი, რომელიც ურჩევდა ბურ
იარაღის დაყრას და თავიანთ უფროსების ურჩ
ბას.

არწმუნებული ვარ, ძალიან გაგიხარდებ
როცა გაიგებთ, რომ ინგლისელ ოფიცრებს
ბძანება აქვთ არ აიყვანონ ტყვედ ბურები (ე.
პირდაპირ დახოცონ). ერთი ოფიცერი მწერ
რომ ეს ბძანება თითონ დევეტსაც შეეხება
თან ზიზღით იხსენიებს ამისთანა ბძანება
რასაკვირველია, თქვენ გაჰკიცხავთ ოფიცე
ამისთანა შეხედულებას, როგორადაც ინგლისე
კაცის და მამულის სიყვარულის წინააღმდეგ
მაგრამ შეგიძლიანთ არხეინად და მშვიდობიან
ბძანდებოდეთ, რადგანაც ჩვენი ჯარები მშვენი
რად ასრულებენ ამ ბძანებას: ქვეყანამ იც
რომ იმათ ერთი ბურიც არ დაუჭერიათ ტყვე
რაც შეეხება დევეტს, აბა არა თუ ტყვ
დაჭერას და თოფით დახვრეტას, თვალით ნახ
საც ვერ ეღირსებიან».

ამ პასუხს გაზეთები ზნეობრივ სილად სი
ლიან «პალ მალ გაზეთებისათვის».

※ სრული კვირა გახდა, რაც დევეტის შ
სახებ ნამდვილი ცნობა აღარ მოსულა. ათ
ხმა ვრცელდება, მაგრამ არც ერთი არაა ს
წმუნო. ბრძოლის ველიდან ეხლაც დეპეშა მ
სულა ლონდონში, რომ დევეტი გავიდა
ვაალში და ნატალში მიდისო. ასეა თუ ი
ის კი ნამდვილად იცის ყველამ, რომ «შ
ქრისტიანი» (ასე ეძახიან დევეტს შავი წვერ
გამო) არ დაიგვიანებს და მალე ისევ მთ
ქვეყანას აალაპარაკებს.

※ ფრანგი ჟურნალისტი ვორრესი, რომ
ლიც ეს არის ეხლა დაბრუნდა ტრანსვაალიდ

---

ეს სიმრთელეც იყოს, რომელიც ნორმალურის აგებულობის პატრონს სჩვევია, მაგრამ ჩვენის მოღალულისა და ქანც-გაწყვეტილის საზოგადოებისათვის ეგრეთი მოვლენა გაუგებარია და ღიმის მომგვრელი. ჩვენთვის ეგრეთი მწუხარება ჲ სიხარული ასეთის მცირე შემთხვევის გამო მაჩვენებელია გრძნობისა და გონების . . . . და სისაწყლისა. ამ თვალებით უყურებს ბ. ნი არაგვისპირელი სოსოსაც. ერთის მხრით, გატაცებულია პოეზიით, რომლითაც არის აღსავსე მისგან აღწერილი მარტივი მოვლენა და თანაც, მეორეს მხრით, ირონიულ ღიმილს ვერ იკავებს, დაგვანახვებს რა იმ შეუსაბამობას, რომელიც არსებობს საგანსა და მისგან აღძრულის სევდისა და მხიარულების შორის.

ეს ორი მოთხრობა ბ. არაგვისპირელისა („ესაა ჩვენი ცხოვრება“ და „ჩემო შვინდავ“) მთელის მისის ლიტერატურულის ნიჭის განმსაზღვრელია. ამ ორ მოთხრობაშია აღნიშნული ყველა ის თვისება, რომელიც არსებით მხარეს შეადგენს ახალგაზდა ავტორის ნიჭისას.

პირველი თვისება ბ. არაგვისპირელის ნიჭისა არის ღრმა და უსასო პესსიმიზმი. იმის ნაწარმოების მიხედვით, ჩვენი ცხოვრება არის შემდგარი სრულიად მოულოდნელისა და უფერულის შემთხვევებისაგან; ჩვენი სიცოცხლე დამოკიდებულია უაზრო და უმნიშვნელო მოვლენაზე. ჩვენ უბედურებას არსად თანამგრძნობი არა ჰყავს, და ის ბუნება, რომელიც რომანტიულ მწერალთათვის „გულდახურულთა მეგობარი“ იყო, ნამდვილად „გულ გრილი და შეუბრალებელი“ მაყურებელია კაცთა ცხოვრების უბედურებისა და უშინაარსობისა; კაცობრიობის უმეტეს ნაწილის გრძნობა, სევდა და ვარამი სიხარული და სიცილი წარმოშობილია სრულიად საცოდავისა, საბრალო და ფუჭის საგნისაგან.

მეორე ხასიათი ბ. არაგვისპირელის მწერლობისა შედეგია ჩვენის ლიტერატურის მსვლელობისა მისი ნაწარმოები არის შემაერთებელი. ორის დიდის ლიტერატურულის შკოლის ელემენტებისა. მისი თხზულებები არიან რომანტიულის და რეალური შკოლის ზედ-გავლენის ქვეშ აღმოცენილნი. რომანტიული მანერა ბ. არაგვისპირელისა იმაში იხატება, რომ იგი როდი რჩება უდარდელ და გულ გრილ მაყურებლად იმ საგნისა და მოვლენის შესახებ, რომელსაც აღგვიწერს. მას იგი აღშფოთებაში მოჰყავს („ესაა ჩვენი ცხოვრება“), ანა და მწარე და ნაზ ირონიას აღძრავს მაში („ჩემო შვინდავ“). ეს მისი გრძნობა ან ნათლად არის გამოხატული, ანა და დაფარულია თვით სტილში, ენაში, ნაწერის კილოში, ამიტომაც არის, რომ თუმც ბ. არაგვისპირელი გულის გამგმირავ სურათებს გვიხატავს კაცთა გათახსირებისა და გარყვნილებისას, მაგრამ მისი ნაწარმოები ყოველთვის მაღალ ზნეობრივი ქმნილებაა, მეტად კეთილშობილის გრძნობების აღმძვრელი. რომანტიკოსია ბ. არაგვისპირელი იმითაც, რომ ხშირად კაცის გაპირუტყვებისა და გაბოროტების მიზეზად საზოგადოებასა სახავს და კაცის პირად ღირსებას უმაღლესად აყენებს საზოგადოების უგნურ და დესპოტურ მოთხოვნილებაზედ*). თვით ამ კრებულში არის ორი ამნაირის შინაარსის მოთხრობა. „აბრეშუმის ცხვირსახოცი“ და „მომილოცნია ახალი წელი“ ტიპიური რომანტიული თხზულებაა. ჯერ ერთი თვით გმირი ამ ორის ეტიუდისა ჩვეულებრივი რომანტიული გმირია—ზნე დაცემული დედაკაცი, რომლის გარყვნილების ბრალი სრულიად საზოგადოებას ედება. ბუნებით თვით პატიოსანი და კეთილშობილი არსება საზოგადოების უდარდელობამ და უზრუნველობამ, საზოგადოებისგან შექმნილმა პირობებმა მიიყვანეს ამ დაცემამდინ. ერთი მათგანი, უფრო ნაზი და საბრალო, თავს იწამლავს და ამით შეინანიებს უნებლიეთს ცოდვას („აბრეშუმის ცხვირსახოცი“). ხოლო მეორე გაშმაგებულია ბედზედ, რომელმაც იმ „მდგომარეობამდის მიაღწევია, რომ ერთად ერთი ცხოვრების სახსარიც, მოძრაობაც, კი მოუსპო“ და გაავრთებული და გულდაიუთქული იმ საზოგადოებისგან, რომლის „მიკარება ადამიანს უწყალოდ სწამლავს“, რომელმაც „მისი გულ-წრფელი გრძნობა, მისი წმინდათა წმინდა უსინიდისოდ შეულახეს, მ
წასთან გაასწორეს, ტალახით შეუთხუპნ
და იქამდე მიიყვანეს, რომ თავისს ხორ
ყიდვა დაუწყო“. აღელვებული დედა-კა
უკანასკნელს ღონეს მოიკრებს და, რო
ზედა სართულიდან მტანჯველ ადამიან
მხიარულების ხმა ჩამოესმება ახალ წლის მ
გებების გამო, „გიჟივით ეზოში გავარდე
საჩქაროდ ნავთს მიასხ-მოასხამს იმ კარე
თან და ფანჯრებთან, საიდგანაც მხიარ
ლება მოისმოდა“, ცეცხლს წაუკიდებს
შესძახებს—„ხა, ხა, ხა! მომილოცნია ახ
ლი წელიო“. ეს ეტიუდი ერთი საუკეთეს
თაგანია, იმ ძლიერის გრძნობით, რომლ
თაც იგი აღსავსეა და იმ ღრმა აზრით, რ
მელიც შიგ არის გატარებული, იმ ხელო
ნურის შემოქმედობით, რომლითაც იგი ა
ბეჭდილია. მუდმივი უთანხმოება პირადობ
სა და საზოგადოების შორის, მათ შორ
სრული ანტაგონიზმი, საზოგადოების ც
მზრუნველობა, რომელიც მხოლოდ ხო
ცისა და სულის დამატყვევებელ ბორკილ
ბში იხატება, ადამიანის გაქელვა და ფ
ქვეშ გათელვა მაძღართა და მშიერთა ბ
ნიერთა და უბედურთაგან,—ეს ერთი იმ უ
თავრეს საგანთაანია, რომელიც ჩვენს მწ
რალს აშფოთებს და აღელვებს.

რეალისტური მანერა ბ. არაგვისპირელ
სა იმაში სჩანს, რომ საგნად თავისის ნაწა
მოებისა იღებს უბრალო, ჩვეულებრივ მო
ლენას. უმეტეს ნაწილად მისი ნაწარმოებ
გმირნი წარმომადგენელნი არიან საბრალ

*) „ბალღი ყოფილხარ“, „მხრები-და ავიჩეჩე“, „ხითხითებს და ხითხითებს“. ეს მოთხრობები ბ-ნ არაგვისპირელის ლიტერატურულ მოღვაწეობის შემდეგ ხანას ეკუთვნიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურების შესახებ, რომ მათ მხოლოდ შეიგნეს კარგად ის საგანი, რომლისთვისაც იბრძვიან. წინად იმ თ ნათლად არ ესმოდათ, თვით იმათი სამშობლოს არსებობაც კი ედ ჰქონდა; ეხლა კი ბურები მთლად ახალი ქილი კაცები შეიქნენ, რომელთაგან არაფრ ეშინიათ და არც დანდობას და სიცოცხლეს იცნობენ. იმათი სრულის შეგნებით იბრძვიან სამშობლოს დამოუკიდებლობის დასაცველად და ბოლოსამდეც იბრძოლებენ. ბოლოს, ფრანგი ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ ბურების მორჩილება შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ კიტჩენერიც ცუდი სტრატეგი გამოდგა და ბურებმა მხოლოდ მოიგეს იმ განზრახვით, რომ სამხრეთ აფრიკის ომის წარმოებას ხსენებულ სარდალს ანდობენ.

ლონდონში ოფიციალური ცნობა მიუღიათ, ბურებმა გააფუჭეს და სულ მოშალეს მილი, რომელიც რკინის გზის სადგურ ...ს-რივერში არის გაყვანილი. ეს სადგური ...რებს კაპშტადტიდან სულ 110 მილის ...ზედ. ყველა მატარებლებს აქედან მიჰქონდათ საჭირო წყალი და ამნაირად ბურებმა შეუძლებლად გახადეს მატარებლების მიმოსვლა რკინის გზებზედ.

ცნობილი ფრანგი ეკონომისტი ლერუა-ბოლიე ჟურნალ «ეკონომისტ ფრანსეზ»-ში ...ცებს, რომ ინგლისელები ტყუილად აწიანებენ სამხრეთ-აფრიკის ომს; იმათ უსათუოდ ...ედ მოლაპარაკება უნდა დაიწყონ ბურებთან, ...რ უნდათ, რომ ომი კიდევ რამდენიმე წელს ...ედდეს. ამიტომ, ამბობს ლერუა ბოლიე, ...ლი ნეიტრალი სახელმწიფო, რომელიც ...ვლობას იკისრებს, დიდს სამსახურს გაუწევს ინგლისს. ამისთანა სახელმწიფოებად ავ...ი სთვლის რუსეთსა და ჰოლანდიას. ამ ნაირი ...ი უფრო იმისათვისაა საჭირო, რომ ...რეთ-აფრიკის ომმა მიიღო ისეთი საშინელი ...თი, რომელიც ეწინააღმდეგება თანამედ... განათლების საფუძვლებს. თუ ინგლისი ...სთანხმდება შუამავლობაზედ, მთელი ჯასუ...გება იმას დაატყდება თავს. ომი გაგრძელდება და ადრე თუ გვიან სამხრეთ აფრიკაც ...რგება საუკუნოდ.

ყველა ერისათვის ერთნაირი არ იყო წარ... საუკუნე. ზოგისათვის თუ ღედნაცვალი ... სამაგიეროდ ზოგ სთვის იყო ნამდვილი ... დედა. ამიტომ ყველანი ერთნაირად არ ...იებე წარსულ მე-XIX საუკუნეს. ზოგი ...წყევლა-კრულვას უთვლის, ზოგი, სამაგიეროდ, ლოცვა-კურთხევით იხსენიებს.

...ლგარული გაზეთი «მირ» ასე ათავებს მე-XIX საუკუნის მიმოხილვას:

«ყველა იმ სიმწარესა და უბედურებასთან, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, მაინც ბედნიერად ჩავთვლით ჩვენ თავს, ახალ საუკუნეშიაც რომ ბოლგარიის ერმა კიდევ იმდენი შეიძინოს, რაც მე XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიძინა. ბოლგარიის ერი უბედნიერეს ერთაგანი იქნებოდა მთელ მსოფლიოში, რომ შეეძლოს გამოსცადოს კიდევ ერთხელ დიდებული წამი 1877 და 1878 წლებისა და ...ის დიდი ...ყველათა სიხარული და ძველი ერის აღდგენა. დიდი საქმეა ერის განთავისუფლება! ისე თავისი პოლიტიკური ნაყოფებით არაა დიდი, რამდენად დიდია თავისი ზნეობითი აღფრთოვანებით, ბოლგარიის ერმა განიცადა ეს დიდებული წამი და ტირილი სიხარულისაგან...

მშვიდობით ჩვენთვის მე-XIX საუკუნე! ისე ვაცილებთ იმას, თითქო გულითად მეგობარს ვაცილებდეთ საუკუნოდ და უკანასკნელს სალამს ვაძლევდეთ.

ამ საუკუნეს არ დავივიწყებთ და ყოველთვის ლოცვითა და კურთხევით მოვიხსენიებთ, სანამ ქვეყანაზედ ბოლგარები არსებობენ. სხვა ერებმა იქნება დაჰგმონ კიდეც წარსული საუკუნე და ემართლებოდნენ კიდეც, მაგრამ ბოლგარები ყოველთვის მადლობით მოიხსენიებენ».

# ახალი ამბავი

✦ ტფილისის გუბერნიის სამოქალაქო საკრებულოს უკანასკნელი სხდომა მოუნდა ქალაქის საბჭოს დადგენილების განხილვას შესახებ ქალაქის სამ საარჩევანო ნაწილად გაყოფისა. საქმის საბოლოვოთ გადაწყვეტა გადაიდო შემდეგ კრებისათვის, რადგან საჭირო შეიქმნა ქალაქის ხმოსნების ამომრჩეველთა სიის განხილვა.

✦ ტფილისის სახალხო სკოლების ინსპექტორის ბ-ნ პავლოვის თავმჯდომარეობით მომხდარ პედაგოგიურ რჩევაზე სახელოსნო სკოლის პარალელურ განყოფილების მოსწავლენი გაანაწილეს შესაფერ კლასებში, დღეიდან სახელოსნო სასწავლებელში საგნების სწავლება მარტო რუსულ ენაზე იქნება.

✦ 11 იანვარს ინჟინერმა სივარტმა წარუდგინა ტფილისის ქალაქის თავს ქალაქის ელექტრონით განათების პროექტი „ჰელიოსის“ საზოგადოებისა. ხსენებული საზოგადოება ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ინჟინერ სივარტს მინდობილი აქვს წარუდგინოს ქალაქს ყოველგვარი საჭირო განმარტებანი და, თუ საჭირო იქნება რამე ცვლილება მოხდეს წარმოდგენილ პროექტში, ბ. სივარტს უფლება აქვს შეთანხმდეს ქალაქთან მოსახდენ ცვლილების შესახებ.

პროექტის მიხედვით, ქალაქის ელექტრონით განათება უნდა დაჯდეს 430,690 მ.

წარმოდგენილი პროექტი ქალაქის თავმა გადასცა განსახილველად ხმოსან ენფიანჯიანს. როგორც მკითხველებმა იციან, გამგეობამ დაადგინა — ტრამვაის, განათლების და ფუნიკულერის პროექტები გადასცენ განსახილველად სპეციალისტებს, რომელთაც შრომის ფასიც უნდა მიეცეს.

✦ ოზურგეთიდან გვწერენ: ამ დღეებში თავ. ნ. თავდგირიძემ მიიღო ფინანსთა სამინისტროსაგან შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა მოსალოდნელი შემოსავალი ექნება ოზურგეთიდან ნატანებამდე გასაყვან რკინის გზას. ამ საკითხზე ნ თავდგირიძეს უკვე ჰქონდა დაწერილი პასუხი მაშინ, როდესაც ქალაქ ოზურგეთის სახელზე თხოულობდა კონცესიას, ამიტომ დაუყოვნებლივ გაგზავნა პასუხი ფინანსთა სამინისტროს შეკითხვაზე. როგორც ვიცით, გზათა და ფინანსთა სამინისტროები თანახმანი არიან კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გოლიცინის აზრისა, ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის კონცესია მისცენ თ. ნ. თავდგირიძეს.

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ბ-ნი ვრასსკი ოთხშაბათს, 17 იანვარს, პეტერბურგში მიემგზავრება.

✦ ხუთშაბათს, 11 იანვარს, ქალაქის გამგეობის სხდომაზე გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარადგინა ანგარიში იმის შესახებ, თუ რა ხარჯი მოსვლია ქალაქს რკინის გზისათვის მილის გაყვანის დროს. გამგეობამ, განიხილა რა ყველა ამ საქმის შესახებ წარდგენილი ცნობები, დაადგინა: იმ 18,900 მანეთიდან, რომელიც რკინის გზის დეპოზიტად აქვს გამგეობას, ჩარიცხოს ქალაქის კასაში 17,213 მანეთი და 75 კაპ, იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც ქალაქს დაეხარჯა აღნიშნულ მილის გაკეთებაზედ; აგრეთვე იმავე ფულიდან უნდა იქმნეს აღებული 379 მან. 25 კაპ., რომელიც ერგებათ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილების მოხელეთ სამუშაოებში პროცენტად., 307 მან. უნდა ჩაირიცხოს ქალაქის საკუთრებად იმ ხარჯების გასასტუმრებლად, რომელიც მოუხდა ქალაქს რკინის გზის ნაგვის გასაწმენდად. აგრეთვე ეთხოვოს რკინის გზის სამმართველოს გარდაიხადოს 987 მანეთი 10 კაპ., რომელიც ერგება აგრეთვე ქალაქს ნაგვის საწმენდად.

✦ ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტა მოკლე ხანში გადასინჯოს ტარიფები რკინის გზებით გადასაზიდავ ხე-ტყის მასალაზე.

✦ გზათა სამინისტრო ... კრებს ... ჟამად ცნობები და შემდეგ განიხილება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაწესრიგდეს სამუშაო დღე რკინის გზების ყველა მსახურთათვის.

✦ საერო განათლების სამინისტრო შეუდგება ამ მოკლე ხანში იმის გამორკვევას, თუ რა ტიპის სკოლები უნდა დაარსდეს საშუალო სასწავლებლებში შესასვლელად მოსამზადებელ ბავშვთათვის.

✦ როგორც შევიტყვეთ, ტფილისის სასულიერო სემინარიის. რექტორი არქიმანდრიტი სტეფანე სათანადო სასულიერო მთავრობას დაუნიშნავს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის წევრად. ამ თანამდებობის ჩაბარებამდე ოთხშაბათს, 10 იანვარს, მამა სტეფანეს ფიცი მიაღებინეს.

✦ ქუთაისის ქალაქის სამმართველოში განთავისუფლებულა თანამდებობა ქალაქის არქიტექტორისა, რომელ თანამდებობაზედაც გამგეობა იწვევს მსურველთ. არქიტექტორს ჯამაგირი ექნება 1500 მანეთი წელიწადში.

✦ სათანადო მთავრობის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რათა სამოქალაქო სასწავლებელში შემოღებულ იქმნას სწავლება ფრანგულის ენისა, როგორც არა სავალდებულო საგნისა. ვინც ხსენებულის ენის შესწავლას მოინდომებს, იმას ამისათვის ფასი გარდახდება.

✦ სამშაბათს, 9 იანვარს, გამოაცხადეს რეზოლიუცია ბაშვა-დეკლარის პოლკის პორუჩიკის კონიაშვილის საქმისა. სამხედრო სასამართლომ დამნაშავედ იცნო კონიაშვილი ბატალიონის უფროსის სიტყვიერ შეურაცხყოფაში და უმორჩილობაში და გადაუწყვიტა სამსახურიდან დათხოვნა შეძენილ ჩინების ჩამოურთმევლად.

✦ პარასკევს, 19 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე ტფილისის მოქალაქის სოლომონ ბაბანასოვისა, რომელსაც ბრალად ედება სასჯელთა დებულების მე-996 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა.

✦ ოთხშაბათს, 17 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლო ბ-ნ ბოგაევსკის თავმჯდომარეობით განიხილავს საქმეს სანდრო ნატროშვილისას, რომელსაც ბრალად ედება ბოქაულის ხარკევიჩისთვის სამსახურის

...რულის სინამდვილისა. ეს მეურმეები ...ა ჩვენის ცხოვრებისა“, ეს გლეხის ბიჭი ...ო შვინდავ“ ისა, მთელი ეს შემთხვევა ...ელ დღიური, თითქმის ყოველ წუთიერი მოვლენაა, სრულიად არავითარი არაა ... საოცარი, მოულოდნელი და არც ...ი რამ ნამდვილი, რომელიც იშვიათად ...ხდებათ ცხოვრებაში. რეალისტია ბ. ...გვისპირელი და უფრო კიდევ ნატურა...ტიურის შკოლის მწერალი მისი ...დულობით კაცის ადგილზე ბუ...ში.— კაცთა, ბუნებისა და კაცის შორის დამოკიდებულებაზე: ნატურალისტია ...ი, რომ თავისი აზრების საგნად ირჩევს ...ი უსაძაგლესს და უსაზიზღრესს მოვლენას, და ამ გვარად გვამცნებს თავისს მწარე შეხედულებას კაცის ცხოვრებაზე. ის ...ალუდგა და ფეხ ქვეშ გასრისა ყოველი ის, რასაც რომანტიკოსი და იდეა...ტი თაყვანსა სცემდა. სიყვარული, მეგობრობა, პატიოსანი საზოგადოებისა და კერ...პირს შორის, რაიმე კეთილ განწყობა ბუნებასა და კაცს შორის, კაცსა ...როუტყვს შორის*) ამ გარყვნილ, ბინძურ ...ანაში არის ერთად ერთი ნამდვილი მოვლენა, რომელიც იხატება საუკუნო და ...სრულებელ შეუბრალებელ ბრძოლაში ...ი-მეორესთან, მთელი ცხოვრება ქვეყანაზე, მსოფლიოზე, მარტო ომი, ჭიდილი ...მეტოქეობაა, რომლის აზრი და საგანი ...ოლოდ ისაა, რომ ერთმა-მეორე გასჭყლიტოს და გასრისოს და რომლის გვირგვინით მოსილი ბოლო „სისულელეა“.

ბ-ნ არაგვისპირელის განსხვავება ორის აღნიშნულ ლიტერატურულ სკოლიდან იმაში მდგომარეობს, რომ დიდ ყურადღებას აქცევს ფსიხოლოგიას, ადამიანთა სულის მოძრაობას, სულის მღელვარებას ~~დ~~ სევდას, ფიქრს და მისწრაფებას. პატარა ნაწყვეტებში იგი იძლევა ხშირად ღრმა ფსიხოლოგიურ ეტიუდებს, რომლის ჩინებული მაგალითები ამ პირველ წიგნშიც არის („ჩემო შვინდავ“ „მომილოცნია ახალი წელი“). გარდა ამისა ბ-ნ არაგვისპირელი პოეტიც არის, მისი აღწერილება ბუნებისა და კაცის შორის დამოკიდებულებისა, ბუნების სურათების მომხიბლველის მოქმედებისა კაცზე ლირიზმით აღსავსეა და ა. ყაზბეგს გაგახსენებთ. აბა წაიკითხეთ ზოგიერთი ადგილი „ესაა ჩვენი ცხოვრებიდან“, „გიულიდან“ და დამეთანხმებით, რომ ჩვენ მართალი ვართ.

ბ-ნის არაგვისპირელის უკანასკნელი მოთხრობა „გიული“ *) კი შედევრია ამ ჟანრისა, საუცხოვო ნაწარმოებია პოეზიითა და ლირიზმით აღსავსე. ცხოვრება, რომელიც ავტორმა ამ მოთხრობაში დაგვისურათა, სავსებით გვაჩვენებს, ავტორის პოეტურ ნიჭს განსვენებულის ალ. ყაზბეგის ზედ-გავლენის ქვეშ გაზრდილსა და განვითარებულს. აქვე სჩანს ის ერთი ნაკლი ბ-ნის არაგვისპირელისა, რომელზედაც ჩვენ ზევრჯერ მიგვითითებია და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ საზიზღარის სინამდვილის აღწერა ხანდისხან უაზროდ იტაცებს და სრულიად უადგილოდ ჩააჩხირებს ხოლმე ამგვარ სურათებს. „გიული“-ში რომ ისადგილი არ იყოს *). სწორედ მშვენიერი მაგალითი იქნებოდა მაღალ პოეტური ნაწარმოებისა.

ჩვენ იმას ვერ დავუმლით ბ-ნ არაგვისპირელს, რომ ცხოვრების უმსგავსო სურათებიც გვიჩვენოს და ჩვენს ლიტერატურულს პირმოთნე მანჭიობას გვერდი აუქციოს. მაგრამ ყოველივესა აქვს თავისი ადგილი. შეიძლება ზემო-აღნიშნულს სურათს სხვაგან ექნებოდა თავისი ადგილი, თავისი raison d'être-ი, მაგრამ აქ კი სრულიად უადგილოა, შეუხამებელია და მით უფრო ცუდს შთაბეჭდილებას იწვევს მკითხველებში.

ბ-ნი არაგვისპირელი საზოგადოდ ლიტერატურის ახალი მიმართულების გამომხატველია. მის თხზულებებში კი გატარებულია ის აზრები და გრძნობები, რომელიც აღელვებს თანამედროვე მოწინავე საზოგადოებას. ბ-ნი არაგვისპირელი მშვენივრად გაგრძნობინებს თანამედროვე უსასოებასა და ურწმუნოებას; წყევითა და კრულვით ეპყრობა ეხლანდელი გათახსირებული და გარყვნილი საზოგადოების ზნე-ჩვეულებას, მის ფარისეველურ პრინციპებს; მწარე და ნაღვლიან ირონიას. და სასტიკ კალმის ქვეშ ჰყავს გატარებული ყოველივე მოვლენა, რომელიც კი მის ნიჭს ცხოვრებაში აღუნიშნავს და ამით იგი საყვარელი მწერალია ახალ თაობისა, თუმც, ამ ახალთაობის ავადმყოფის სულის და ამ შფოთვა ვაების დასურათება ჯერ-ჯერობით არ ეხერხება *) შეიძლება იმიტომაც, რომ ეს საგანი მეტად ახლოა მაზე და მეტად დაკავშირებულია მასთან. მაგრამ მისი ნაწერების აღშფოთებული კილო ყოველივე იმის მიმართ, რაიცა შეადგენს დღეინდელის ცხოვრების საზიზღარ მხარეს, მისი სისასტიკე სიბინძურისა, პირფერობისა და ყოველგვარ ლალატისა და ფლიდობის შესახებ, მისი მწარე კილო, ხანდისხან ირონიით შეზავებული, მისი ცოდნა ადამიანის სულის მიმალულ კუნჭულებისა და მისი ლირიზმით აღსავსე აღწერილობა ბუნებისა და ველური ცხოვრებისა ბ. არაგვისპირელს ქმნის მჰმუნვარებით აღბეჭდილ ახალგაზდა მწერლად, რომელსაც ბედმა არგუნა ჩვენ მწერლობაში ახალი ხანის დაწყება. ბ. არაგვისპირელი ახალგაზდა მწერალთა შორის ყველაზე უფრო ღრმა ფსიხოლოგია და ყველაზე უფრო სერიოზული მორალისტი, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, ადამიანის სულიერ ცხოვრების მოვლენას, იგი ნესტრით ჰკვეთავს, ანაწილებს და რაკი დაინახავს გულის ამრევ მოვლენას ზიზღსა და აღშფოთებას გადმოანთხევს უმსგავსოების წინააღმდეგ, ყოველივე ფრაზაში, ყოველივე სიტყვაში, იხატება ეს მისი აღშფოთება, ეს მისი უკმაყოფილება დღეინდელის ცხოვრებით, რაიცა საპატიო ადგილს აძლევს საუკეთესო მომავლის ერთ ერთ მომქმედ ნიჭიერ არსებათა შორის.

ის ვინც ძირს უთხრის დღეინდელობის გარყვნილობასა და გათახსირებას, გზას უკაფავს კაცობრიობის ძლევა-მოსილ მომავალს.

კიტა აბაშიძე.

---

...„მხრები-ლა ავიჩეჩე“, „ბალღი ყოფილხარ“, ...სი ვარ ამისი“..., „ესაა ჩვენი ცხოვრება“.

*) „მოამბე“ № მე-9 და მე-10.

*) „გიული“-ს ის ადგილი, სადაც ალი ბუნებისგან დაუძლურებული და ხან-გადასული ვნებით გატაცებული ეხვევა და ეალერსება გიულის.

*) „ადამიანი“, „ჰარამხანის სურათი იხ. I ნაწილი მისი თხზ. „ადამიანში“ იმავე უხეხულ ეფექტებს მიჰმართავს მწერალი, როგორც „სოფლად“. და „ახალ წლის ღამეში“, რომლების შესახებ ზემოდ გვქონდა ბაასი.

ასრულების დროს წინააღმდეგობის აღმოჩენა.

✦ ქართველ ებრაელების 27 გადამწვარ ოჯახს, რომელნიც იერუსალიმის ქუჩის მოსახვევში სცხოვრობენ, შეუტანიათ სასამართლოში საერთო განცხადება, რომელშიაც ამტკიცებენ, რომ ოჰანეზოვის სახლს, არღუთინსკის ქუჩაზე, განზრახ წაუკიდეს ცეცხლი 2 იანვარსო.

✦ ხუთშაბათს, 11 იანვარს, ქალაქის გამგეობამ განიხილა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის წინადადება იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობა შეუძლიან თავის მხრით ქალაქმა მიიღოს ქალაქის მკურნალად ნამყოფის ბ-ნ მაღალაშვილის პენსიის დანიშვნის საქმეში. გამგეობამ დაადგინა, ქალაქის საშუალებათა მიხედვით, დაენიშნოს ქალაქის მხრით ბ-ნ მაღალაშვილს წელიწადში 174 მან. პენსია, რომელი დადგენილებაც ახლო მომავალში წარედგინება დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს.

✦ 1902 წლიდან კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველოს ეყოლება საკუთარი ზ-ეროთ-მოძღვარი

✦ ქუთაისიდან გვატყობინებენ შემდეგ ამბავს: „9 იანვარს, სამშაბათს, დილით, როდესაც მოსწავლე ქალი მ – ძე სკოლაში მიდიოდა, გზაში დახვდომია არშიყი მედავითნე ს. გ — ა, უეცრად დაუვლია ხელი მ - სთვის და გადაფრენილა უცხო მხარეს. მას აქეთ ეძებენ, მაგრამ, ღმერთის მეტმა, კაცმა არ იცის, სად იმყოფებიან“.

✦ გუშინ-წინ, 11 იანვარს, ტფილისის გამგეობამ დაამტკიცა ბელგიის უსახელო საზოგადოების მმართველის მიერ გამგეობაში წარდგენილი პროექტი ერევნის მოედანზე პავილიონის გამართვისა.

✦ ოთხშაბათს, 10 იანვარს, პოლიციის მე-9 ნაწილში გამოცხადდა ვაჭარი მორდკო იცეკ იავნეს ძე როვნერი და განაცხადა, რომ წარსულ 1900 წლის მეორე ნახევარში მიხეილის პროსპექტზე ჩემს მაღაზიიდგან დრო-გამოშვებით მპარავდა ჩემივე მსახური ნიკოლოზ გოტლიბოვი სხვა-და-სხვა მასალებს ჩემოდნებისას, რომლიც თურმე ჰყიდდა ტფილისის მოქალაქეთ რუბენ აღაბაბოვის ძეს სადორჟიანცსა და ნიკოლოზ ოჰანეზას ძე შირინიანცს; გოტლიბოვმა აღნიშნულ ხნის განმავლობაში მომპარა სულ 650 მან. ღირებული მასალაო პოლიციამ უპოვა შეიპყრო როგორც გოტლიბოვი, აგრეთვე შირინიანცი და სანდორჟიანცი, რომელნიც პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

# პროვინცია

ქ. თელავი. დეკემბერმა თელავში და მის მაზრაში ისე გაიარა, რომ თოვლი არ მოსულა; კარგი ამინდი და მზიანი დღეები იყო და თბილოდა კიდეც. იანვრის ორში-კი დაიწყო თოვა და მთელ მაზრას თეთრი სუდარა გადაეფინა; დაიწყო ყინვები და სიცივეები. ამის მიზეზით შეშა შესამჩნევლად გაძვირდა, ურემი წინედ 2 — 3 მანეთად იყიდებოდა და ეხლა 3 მ. 50 კ. — 5 მანეთად ვერ იშოვით

დღესასწაულები თელავში ისე არ გაივლის ხოლმე, რომ კაცის სისხლი არ დაიღვაროს. წელსაც ერთი საზიზღარი მკვლელობა მოხდა შიგ შუა ბაზარში, მრავალ ხალხის თვალწინ. 3 იანვარს, სადილის $6^1/_2$ საათზე, თელავის მცხოვრებთ მამა შვილს სათვალთვებს მოუვიდათ ლაპარაკი კულდელაურში მცხოვრებ ლეკიშვილთან, რომელსაც თელავში აქვს დუქანი, და მარკოზაშვილთან. ლაპარაკი ჩხუბზე გადავიდა და მოუვიდათ ცემა-ტყეპა, რომელშიაც დანა ეხმარათ და დაჭრეს ლეკიშვილი და მარკოზაშვილი; პირველი მსუბუქად არის დაჭრილი ყურთან, ხოლო მეორე, ლეკიშვილი, სამჯერ დაიჭრა მძიმედ და მაშინვე გარდაიცვალა. — ამდენა ხალხში ესეთი უბედურება დატრიალდა და ერთმა არავის განძრია ხელი, რომ სიკვდილისაგან დაეხსნათ საბრალო ლეკიშვილი. ერთი პოლიციელიც გამოჩნდა, მაგრამ აბა რას გააწყობდა. უსტვინა, უსტვინა სხვა პოლიციელებს, მაგრამ ვერ გააგონა..

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ. რადგან დღესაც ისევ ღარიბია თიანეთის ბიბლიოთეკა სხვა და სხვა ქართულის წიგნებით თუ ჟურნალ-გაზეთებით მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წლივ გროვდება ხოლმე წევრთაგან ფული ბიბლიოთეკის სასარგებლოდ და მკითხველთა რიცხვი დღე-დღეზე მატულობს, ამისათვის ახალ-გაზდა ყმაწვილთა გუნდმა მოიწადინა თუ ბევრად არა, ცოტათი მაინც აღმოეჩინა შემწეობა ბიბლიოთეკისათვის დაეკმაყოფილებინა მკითხველ გლეხთა მისწრაფება წიგნ-გონების განვითარებისადმი.

ამ მიზნის განსახორციელებლად ხსენებულმა გუნდმა მიმართა შემდეგს საშუალებას; მან გადაწყვიდა მოემზადებინა რამდენიმე ქართული სიმღერა, დაევლო წარსული 1900 წლის ქრისტეს შობის წინა დღეს ალილოზედ მისალოცად და ამ დღეს მოგროვებული ფული გარდაეცა თიანეთის ბიბლიოთეკის გამგეთათვის სამკითხველოს გასაფართოებლად.

ბედა გაუღიმა ამ ახალგაზდა საქველ-მოქმედო მიზნით გამსჭვალულ გუნდს და სწორედ ხსენებულ დღეს, ალილოზედ დავლის დროს, შეაგროვა სულ ოცდა შვიდი მანეთი და თვრამეტი შაური, რა ფულიც უკლებლივ გადასცა ბიბლიოთეკის მოლარეს გიორგი ზაქარიას ძე ნამურაძეს, მაგრამ რაც მოსალოდნელი იყო, ე. ი. ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და მით დაკმაყოფილება მკითხველთა სურვილისა, ეს ასე არ მოხდა...

აქ ხსენებულ მომღერალთა გუნდის პირველი აზრი სწორედ ის იყო, რომ მათ მიერ მოგროვილი ფულით თიანეთის ბიბლიოთეკის გამგეთ გამოეწერათ სწორედ ქართული ჟურნალ-გაზეთები, რომლებითაც სამკითხველო ძლიერ ღარიბია.

ალექსანდრე გოჯიაშვილი

# თეატრი

ქართული წარმოდგენა. «ბედნიერი დღე» და «მე მინდა კნეინა გავხდე». ბენეფისი ნ. გაბუნია-ცაგარლისა.

ნ. გაბუნია-ცაგარლისა საზოგადოების საყვარელი არტისტია და ღირსია ამ სიყვარულისა: ის უნიჭიერესი არტისტია და ამასთან იშვიათის სინიდისიერებით ეკიდება თავის მოვალეობას. ამიტომ მის ბენეფისს აუარებელი ხალხი დაესწრო და გულწრფელის ალტაცებით შეხვდა მას, როცა სცენაზე გამოვიდა.

მხოლოდ თვითონ წარმოდგენა ისეთი არ იყო, როგორსაც მოველოდით. ამის მიზეზი, ერთი, ფელეტონისტების მიერ შესხმული ბრწყინვალე თავად-აზნაურობის ელექტრონი იყო, მეორე — შათირიშვილის მაგიერ ვ. აბაშიძის უგრიმოდ და მოუმზადებლად გამოსვლა, მესამეც ის, რომ „ბედნიერი დღე“ რუსული პიესაა, სადაც ნ. გაბუნიას შეიძლება შესაფერისი როლი ჰქონდეს, მაგრამ „მისი“ როლი მაინც არ არის.

„ბედნიერ დღე“-ში ნ. გაბუნია, როგორც ზემოდაც შევნიშნეთ, ვერ იყო სავსებით თავის ადგილას: იგი იმდენად შეჩვეულია ჩვენებურ ტიპების გამოხატვას, რომ უცხო პიესებში მას არ ეტყობა თამაშში ის ძალდაუტანებლობა და თავისუფლება, რაც შეადგენს უაღრესს ღირსებას არტისტისას.

ვ. აბაშიძეს შეელოდა მისი შეუდარებელი მიმიკა, ისე რომ ხანდახან გვავიწყდებოდა კიდეც, რომ იგი მოუმზადებელი გამოვიდა სცენაზე.

ტასო აბაშიძეს შესაფერი როლი ჰქონდა და მეტად ცოცხლად და მოხდენით შეასრულა იგი: ცუგრუმელა, ეშმაკი და თან პრაქტიკული მოსაზრებით აღსავსე გოგო თვალ-წინ ედგა მაყურებელს. არ შეგვიძლია ერთი არ შევნიშნოთ: გადამეტებულად ამოძრავებს თავს, როცა მოსაუბრის სიტყვებს ისმენს, და ეს ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს.

საუცხოვო იყო „მე მინდა კნეინა გავხდე“. შეუძლებელია ნ. გაბუნიაზე და ვ. აბაშიძეზე უკეთ ვინმემ ითამაშოს ბარბარე თულუხჩოვისა და მინას პეტრუზიჩ შაჰყულოვის როლები. ანტონოვის პიესა მეტად მოძველებულია და არც საზოგადოებას მოეწონებოდა იგი, რომ ეს ორი შეუდარებელი მოთამაშე არა ყოფილიყო. ყოველი მათი მოძრაობა, ყოველი მათი სიტყვა, სახის ეს თუ ის გამომეტყველება სწორედ ისეთი იყო, რომ თვით მტრულად განწყობილი დამფასებელიც კი ვერ უპოვიდა ნაკლსა და შეუფერებლობას.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

### I

უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში სია ქვემო მოხსენებულ პირთა, რომელთაც იქებს შემოწირვა ს. ძველ-გავაზში განზრახულ წიგნ-საცავის სასარგებლოდ: 7 მან. მღ. აზასია მირიანაშვილმა ხუთ-ხუთი მანეთი: კნ თინათინ აფხაზისამ, დავით ყიფიანმა, ივ. ვახვახიშვილმა, რამან მირიანაშვილმა, გაბო მარგვალაძემ, დავ. მარგვალაძემ, მიხ. მურვანიშვილმა, ნიკ. როზოვმა და მერთუზალი ნახობაშოვმა, 4 მან. ალექსი ჯაფარიძემ, 3 მან. დავით ხუციშვილმა. ორ-ორი მანეთი: დიმიტრი ქურხულმა, ს. თავდგირიძემ და მიხა ნაცვლიშვილმა. თითომანეთი. ნიკო ცოკიაშვილმა, სტ. ოდანეზოვმა, ივ. გარბელიძემ, ლიმონ ჯიბლაშვილმა, ალექსი ლომიძემ, ლუარსაბ მაისურაძემ, გიორგი ლომიძემ, ივ. ჭანკოტაძემ, ზაქ. ლომიძემ, სანდრო ცაგარელმა, მიხა დევაძემ, სოსოფხოვალიშვილმა, კას. ლომიძემ, დეკ. ხელაშვილმა და მამინაიშვილმა, 90 კ. ზაქ. ჩილაევმა 50 კ. კაკალა ოსეპოვმა, კალდო ეპიტოვმა, სოლომონ დონაძემ და მიხა თავკაძემ, 20 კ. ასე დავითაშვილმა. სულ 83 მან. და 10 კაპ.

გამგენი: დავით ყიფიანი, თ. ივანე დიმიტრი-ძე ვახვახიშვილი მ. მურვანიშვილი

### II

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშვალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ «კვალის» რედაქციას მთელი წლის განმავლობაში ნახევრის ფასად «კვალის» დათმობისათვის.

ბესსარაბის მელვინეობის სასწავლ.
ქართველი მოსწავლენი.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

# ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

## სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

13 იანვარს

მიხეილ ონიანისა, რომელსაც კაცის დაჭრა ედება ბრალად.

დიმიტრი მურადხანაშვილისა, რომელსაც სააქციზო წესდების დარღვევა ჰბრალდება.

სამსონ გურეშიძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

ხაბახა თორბაიასი, კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

ანტონ ქიტუაშვილი, კაცის დაჭრის ბრალი ედება.

ერმილე გოჩიაშვილისა, რომელსაც ნამალევ არაყის გამოხდა ედება ბრალად.

ვასილ ფილიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

16 იანვარს

დიმიტრი გვახარიასი, რომელსაც კაცის კვლა ედება ბრალად.

ლუკა მაისურაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე 1480 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

სტეფანე ნიკოლაიშვილისა, რომელსაც სიყალბის ჩადება ჰბრალდება.

ტაკუა ცხვედიანისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ჰბრალდება.

[20] იანვარს

ალექსი გულიაშვილისა, რომელსაც მოკვლა ედება ბრალად.

მიხეილ აბესაძისა, გიორგი თათუაშვილისა, ლაზარე ჩაჩხეიშვილისა და ივანე დ... შვილისა, რომელთაც ქურდობის ჩადენა ედება ბრალად.

## ᲜᲘᲮᲠᲘ

| | | |
|---|---|---|
| ხორცი ძროხის | . . . . . 1 | გ. 8 |
| სუკი . . . . . . . | » | —15 |
| » ცხვრისა . . . . . | » | — 8 |
| » ღორისა . . . . . | » | —12 |
| » კამეჩისა . . . . . | » | — 8 |
| » ღორის ბარკალი სალორეთ . | » | —15 |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბ... ადევს, კამეჩს—მწვანე ღორს—დამღა)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | . . I | ხარ. 1 | გირ. | 5 |
| » » | . . II | » | » | 3 |
| » » | . . III | » | » | 3 |
| იგივე თორნისა | . . I | » | » | 5 |
| » » | . . II | » | » | 4 |
| » » | . . III | » | » | 3 |
| ლავაში ჯვ. მამ. | . . I | » | » | 6 |
| » » » | . . II | » | » | 4 |

## ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘ:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო ... ხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი ... თო ოთახში — 12 მან. თვ., ცალკე ოთახ... 60 მან. თვეში.

ქალაქის საძკურნალო. მუხრანის ქუჩა, ... ლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარ... თვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკ... დოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილება ... ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტე... როვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიი ა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი ... ქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარ ფხისა ვორონცოვის ქუჩა, ... იედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

...გალების სამკურნალო, ელისაბედის ... სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ ... ვენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის ... სულით ავად... თაოვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუ... ბარონისა, ტიზენგაუზენის და ეჯუბოვის ... ში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის ს... მყოფი იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პა... ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ად... — ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ... მანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის ... საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლ...

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, ... ლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

## ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 1901 წ... 25 იანვარს, შუადღის 12 საათზე, ... ნიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომ... იჯარით გაიცემა **ᲓᲣᲥᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐ...ᲤᲔᲑᲘ** ქალაქის სახლში (მიიქაელისეუ... გოლოვინის პროსპექტზე. ვისაც ჰს... მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობ... შეუძლიან განიხილოს დაწვრილე... პირობანი გამგეობის მე-4 განყო... ლებაში ყოველდღე, კვირა-უქმ... გარდა, დილის 9 საათიდან ნა... დღევის 3-სამდე. (ნ. 3...